პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 175
(3405)

7 სექტემბერი.
1967 წ.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
24-ე წელი.

პრეტენდენტთა ტურნირი გაიხსნა

გუშინ, საღამოს იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა VII ტურნირი. ფიდე-ს გადაწყვეტილებით ტურნირში მონაწილეობს 4 კონტინენტის 18 მოჭადრაკე, რომლებიც ბრძოლას დღეს შეუდგებიან.

აი, შეჯიბრების მონაწილენიც: ნ. ალექსანდრია, ტ. ზატულოვსკაია, მ. კოზლოვსკაია, ა. კისლოვა, ა. კუშნირი (ყველა — სსრ კავშირი), მ. ლაზარევიჩ-მარკოვიჩი, ვ. ნედელკოვიჩი, ტ. შტადლერი (სამივე — იუგოსლავია), ვ. ნოვარა (გდრ), ა. ნიკოლაუ, მ. პერევოზნიკი (ორივე — რუმინეთი), ვ. ასენოვა (ბულგარეთი), ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია), გ. გრესერი, ლ. ლეინი (აშშ), ბ. კარასკო დე ბუდინიჩი (ჩილი), ა. ფრიდმანი (ისრაელი), მ. გრატი (ავსტრალია).

ტურნირში გამარჯვებული 1968 წლის შემოდგომაზე მატჩში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს, ხოლო II-III ადგილებზე გამოსული მოჭადრაკეები პერსონალურად მიწვეული იქნებიან პრეტენდენტთა VIII ტურნირში, რომელიც 1970 წელს გაიმართება.

ს უ რ ა თ ზ ე: თ. მდინარაძე (მარცხნიდან პირველი) რბენისას.

ფოტო ი. იუნაევისა.

მინსკში დამთავრდა „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობა მძლეოსნობაში. ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი თამაზ მდინარაძე, რომელმაც პირველობა დაისაკუთრა 100 და 200 მეტრზე რბენაში. ამასთან 100 მეტრზე რბენაში მან 0,1 წამით გააუმჯობესა ლ. ანთაძის რესპუბლიკური რეკორდი ჭაბუკთათვის, რომელიც 10,8 წამს უდრიდა.

რევანში არ შედგა

ფინეთის ქალაქ ტურკუში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი მესამე ჯგუფის გუნდებს შორის. ლიდერები — საბჭოთა ფეხბურთელები ფინეთის ეროვნულ გუნდს შეხვდნენ.

თამაშის მე-2 წუთზე საბომ გახსნა ანგარიში. 13 წუთის შემდეგ მასლოვმა გაიტანა მეორე ბურთი. მომდევნო 4 წუთის მანძილზე მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გაქვითვა — 2:2. 35-ე წუთზე ბანიშევსკიმ მესამედ აიძულა ფინელები თამაში ცენტრიდან დაეწყოთ.

შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობა უფრო აშკარა გახდა: ჯერ საბომ (11-მეტრიანი დარტყმით) და 5 წუთის შემდეგ მალოფეევმა საბოლოოდ განამტკიცეს საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება — 6:2.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: პშენიჩნიკოვი (ცავაზაშვილი), აფონინი, ანიჩკინი, ხურცილავა, ლოგოფეტი, მასლოვი, საბო, მალოფეევი, ბიშოვეცი, ბანიშევსკი, ჩისლენკო.

ფეხბურთი

ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

რუსთავიდან...

ოქტემბერიანის „სევანის" ფეხბურთელებთან შეხვედრის მე-8 წუთზე მეტალურგელმა დანელიამ ანგარიში გახსნა. ამას მოჰყვა სტუმრების საპასუხო კონტრშეტევები, მაგრამ რუსთაველებმა ტაიმი მაინც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 1:0.

მართალია, თამაშის მეორე ნახევარში ანდრიასიანმა (49-ე წუთზე) გაქვითა გოლი, მაგრამ ორი წუთის შემდეგ გვენცაძემ კვლავ დააწინაურა „მეტალურგი". 71-ე წუთზე იგივე გვენცაძემ ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო — 3:1.

რ. გაბრიჩიძე,

ფოთიდან...

„კოლხეთს" ძალიან გაუჭირდა თამაში შეჯიბრების ლიდერთან — მახაჩყალას „დინამოსთან". თავიდანვე იგრძნობოდა სტუმრების უპირატესობა. ერთ-ერთი თავდასხმის მოგერიებისას (30-ე წუთზე) კალიუჟნოვი („კოლხეთი") უხეშად ეთამაშა მეტოქეს. შუკოვმა უშეცდომოდ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო — 1:0. ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. პირველი ტაიმის 35-ე წუთზე მსაჯმა ბოჩაროვმა უხეში თამაშისთვის მინდვრიდან გააძევა ფოთელი ხანაია. მე-80 წუთზე ტიმოშენკომ განამტკიცა „დინამოს" გამარჯვება — 2:0.

ა. ლომაია.

სსრ კავშირის პირველობა

გუშინ...

„ბ" კლასი

IV ზონა

ქობულეთიდან...

წვიმიან ამინდში მოუწიათ თამაში ქობულეთის „შუქურასა" და დერბენტის „უროჟაის". ანგარიში გაიხსნა 27-ე წუთზე, როცა ბაღდასარიანმა („შუქურა") კარგად გამოიყენა საგოლე მომენტი — 1:0. 33-ე წუთზე ცენტრალური თავდამსხმელი გაგნიძე სწრაფად შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და ძლიერი დარტყმით კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0. მეორე ტაიმის დასაწყისში ნაზაროვმა ანგარიში 3-მდე გაზარდა.

ლ. ტრაპაიძე.

სოხუმიდან...

0:1 — ასეთი ანგარიშით დამარცხდა ადგილობრივი „დინამო" კრიმსკის „უროჟაისთან". ეს ერთადერთი გოლი 32-ე წუთზე თავური დარტყმით გაიტანა გრიბინიუკმა. მასპინძლებს ჰქონდათ წონასწორობის აღდგენის შესაძლებლობა, მაგრამ დარტყმებს სიზუსტე აკლდა, ზოგჯერ სტუმრების მეკარე გოგიაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

შ. ჯალაღონია.

ზუგდიდიდან...

ადგილობრივმა „ენგურმა" მიიღო ჭიათურის „მაღაროელი". ორივე გუნდს სატურნირო ცხრილში ერთობ არასახარბიელო ადგილები უკავიათ. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მეტოქეები საინტერესო ფეხბურთს გვიჩვენებდნენ.

დასაწყისში ასეც მოხდა. შემდეგ კი მეტოქეთა თავდამსხმელების უნიათო თამაშმა შთაბეჭდილება შეანელა. სტუმრებმა მაინც შეძლეს ბურთის გატანა (ჯიბლაძე). შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმში ზუგდიდელთა მრავალრიცხოვანი შეტევები დანელიამ გოლით დააგვირგვინა. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე კიკნაძის დარტყმამ გამარჯვება ჭიათურელებს მოუტანა — 2:1.

ბ. ალშიბაია.

[illegible] საათი

◆ ჰავანა, 6 სექტემბერი. კაპაბლანკას საჭადრაკო მემორიალზე 76 სვლა გაკეთდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვ. სმისლოვსა და ა. ჰენინგს (გდრ) შორის IX ტურიდან გადადებულ პარტიაში. ენდშპილის საუცხოო მცოდნე სმისლოვი მაინც ყაიმს დაჯერდა. ამით იგი დაეწია ტურნირის ლიდერს დანიელ დიდოსტატ ბ. ლარსენს. თვითეულს 7,5 ქულა აქვს 10-დან. მოსკოველ ლ. პოლუგაევსკის 7 ქულა აქვს, ხოლო ლენინგრადელ მ. ტაიმანოვსა და ჩეხოსლოვაკიელ მ. ფილიპს — 6,5-6,5.

◆ გლაზგო, 6 სექტემბერი. ადგილობრივი „სელტიკის" ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე 65 ათასი მაყურებლის დასწრებით შეხვდნენ საკონტინენტთაშორისო თასის ყოფილ მფლობელს ურუგვაის „პენიაროლს". ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელებმა გაიმარჯვეს 2:1 (2:0). ორივე ბურთი მეტოქეთა კარში გაიტანა „სელტიკის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა უოლესმა. ფინალურ სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე სპენსერმა ერთი გოლი გაქვითა.

◆ ბუდაპეშტი, 6 სექტემბერი. უნგრეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ქარხნის ტექნიკოსმა ი. ფენაშიმ თავისებური რეკორდი დაამყარა მარათონულ ცურვაში. მან სტარტი აიღო ბრატისლავაში და ბუდაპეშტამდე იცურა. 230 კილომეტრის დაფარვას მან 41 საათი და 40 წუთი მოანდომა. ბუდაპეშტში მას გულთბილი შეხვედრა მოუწყო ათასობით თანაქალაქელმა.

◆ ჰავანა, 6 სექტემბერი. კუბის სანაპიროზე მიმდინარეობს მსოფლიოს მე-7 ჩემპიონატი წყალქვეშა ნადირობაში. უაქვალანგოდ 45 მეტრზე ჩაიიდა წყალქვეშ იტალიელი ტრელიანი. 22 წლის ლამაზმა ქერა გოგონამ ამას 75 წამი მოანდომა. სპორტსმენმა ქალმა ერთბაშად 7 მეტრით გააუმჯობესა ამერიკელი ე. პეტერსონის მსოფლიო რეკორდი. ეს ფენომენალური მიღწევა ოფიციალურად აღნუსხა მსაჯთა კოლეგიამ.

ხუთი ღირსების ოთხი რაინდი

თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო პირველობაში მონაწილე სსრ კავშირის ნაკრებ გუნდთან ერთად შვეციას გაემგზავრა სახელგანთქმული ხუთჭიდელი ი. ნოვიკოვი. იგი ჩემპიონატის საპატიო სტუმარი იქნება, თანაც მას სპეციალური ოქროს მედალი უნდა გადასცეს თანამედროვე ხუთჭიდის საერთაშორისო კავშირმა სპორტში დიდი დამსახურებისთვის.

ვინ შევიდა სსრ კავშირის გუნდში, რომელიც საზღვარგარეთელ მეტოქეებთან იასპარეზებს ქალაქ იონჩოპინგში? ეს მოსკოველები ე. სდობნიკოვი და ს. შაპარნისია, აგრეთვე, უკრაინელი ბ. ონიშჩენკო. სათადარიგოა ვ. პიჩუჟკინი (უკრაინა).

გარდა ონიშჩენკოსი, ყველა მონაწილეობდა მსოფლიოს წინა ჩემპიონატებში, ხოლო სდობნიკოვი ერთ-ერთ მათგანში გამარჯვებულიც კი გამოვიდა. წლეულს იგი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა და ამით კვლავ მოიპოვა უფლება ძალები მოესინჯა მსოფლიოს უძლიერეს ხუთჭიდელებთან. წარუმატებლად გამოვიდა სპარტაკიადაში ონიშჩენკო. სამაგიეროდ, მიმდინარე წლის ყველა დანარჩენ დიდ შეჯიბრებაში იგი მეორე ადგილს იკავებდა. შაპარნისმა ახლახან გაიმარჯვა საფრანგეთში გამართულ შეიარაღებულ ძალთა მსოფლიო პირველობაში, რომელშიც საბჭოთა ათლეტები პირველად ასპარეზობდნენ.

თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ საბჭოთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში შევიდოდა ნიჭიერი პ. ლედნიოვი, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვარჯიშზე დაშავდა და შვეციას ვერ გაემგზავრა.

როგორც იონჩოპინგიდან იტყობინებიან, ახლანდელი ჩემპიონატი ყველაზე ხალხმრავალი იქნება. მასში, ალბათ, 21 ქვეყნის სპორტსმენები გამოვლენ.

[illegible]

როგორც ვიუწყებოდით, 28 აგვისტოს სამმა საბჭოთა მფრინავმა ქალმა ლ. ისაევამ, ი. კოპეცმა და ტ. რუსიანმა ტურბოხრახნიანი შვეულმფრენით „მი-8" 1000-კილომეტრიანი დახშული მარშრუტი საათში საშუალოდ 258 კმ სიჩქარით დაფარეს. ეს დრო მსოფლიო რეკორდს აღემატება.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — ლ. ისაევა, ი. კოპეცი და ტ. რუსიანი ფრენის შემდეგ.

ფოტო ვ. კოშევოისა (საქდევსა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღებამ რუსთაველ მშრომელებს ფართო გზა გაუხსნა აქტიური დასვენებისკენ და ისინიც ნაყოფიერად იყენებენ მას.

ამ გვერდში მოთავსებული სურათები მშრომელთა დასვენების ერთ დღეზე მოგვითხრობს. ისინი სხვადასხვა ადგილასაა გადაღებული. ქიმიური კომბინატის მშრომელები დუშეთის რაიონში ბაზალეთის ტბას ეწვივნენ, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მოგზაურობის მოყვარულნი — უჯარმის ციხეს, სხვებმა დასვენების დღეები ქალაქგარეთ გაატარეს — მტკვარზე ითევზავეს.

ტექსტი და ფოტო
რ. გაბრიჭიძისა.

აქტიური დასვენების სიკეთე

ახალი ამოცანების წინაშე

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის თაობაზე დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ, გაგრის ფიზკულტურულ მუშაკებს დაებადათ კანონზომიერი კითხვა: როგორ მოვაწყოთ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, რომ მშრომელები დასვენების დღეებში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მიღმა არ დარჩნენ, არ დაირღვეს სექციების მუშაობის გრაფიკი, რომ უფრო ინტენსიური გახდეს ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები, თევზჭერასა და ნადირობაში შეჯიბრებანი? ერთხანს საამისო ინსტრუქციას ზემდგომ ორგანოებიდან ველოდით, მაგრამ დღემდე ამ ღონისძიების გატარება არავის მოფიქრებია, ამიტომაც გაგრის სპორტკავშირმა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების რაიონული საბჭოების ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშავა სამოქმედო გეგმა.

ორდღიანი დასვენების -პერიოდში მშრომელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებულად წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება რაიონის ტურისტულ-საექსკურსიო ბაზას, რომელმაც საწარმო-დაწესებულებებთან შეთანხმებით უნდა მოაწყოს ყველა ასაკის ადამიანთა მასობრივი ტურისტული (ერთდღიანი ან ღამისთევით) ლაშქრობანი.

გაგრის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ჩამოსულებთან ფიზკულტურულ მუშაობას უნარიანად უძღვებიან საკურორტო სამმართველოს ფიზკულტურის მეთოდისტები, მაგრამ როგორ მოიქცნენ არაორგანიზებული დამსვენებლები, ისინი, ვინც კერძო ბინებში თავშეფარებული ატარებენ შვებულებასა თუ არდადეგებს? მათი აქტიური დასვენებისთვის, ცხადია, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ. ამ ამოცანის გადასაწყვეტად კი განზრახული გვაქვს გაისიდან შევქმნათ ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, მძლეოსნობისა და ზოგადგამაჯანსაღებელი ჯგუფები, რომელთა შესახებ სააგარაკოდ ჩამოსულნი ქალაქში გამოკრული აფიშებით შეიტყობენ.

გაგრაში ყოველწლიურად ჩამოდის უამრავი დამსვენებელი, რომელთა შორის ბევრია ცურვის უცოდინარი, ეს კი ზოგჯერ ცუდად თავდება. გადავწყვიტეთ გაისიდან მათთვის გავხსნათ ცურვის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფები, სადაც ინსტრუქტორები მარტო ცურვის სწავლებით კი არ შემოიფარგლებიან, არამედ პლაჟზე მეთვალყურეობასაც დააწესებენ და ამით მაშველ რაზმებს გაუწევენ დახმარებას.

რაც შეეხება გაგრის მკვიდრებთან მუშაობას, კვირაში ორდღიანი დასვენება რაციონალურად იქნება გამოყენებული. ქალაქში ერთადერთი საცურაო აუზია, რომელიც საკურორტო სამმართველოს ეკუთვნის და მთლიანად დამსვენებლების განკარგულებაშია. მაგრამ მე-4 საშუალო სკოლის ცურვის ჯგუფის გამოცდილებიდან ვიცით, რომ ცურვის მასობრივი სწავლება ზღვაზეც შეიძლება, ამიტომაც სპორტკავშირის გადაწყვეტილებითვე გაგრელ მშრომელთათვის შეიქმნება ცურვის მასობრივი სასწავლო ჯგუფები.

ფეხბურთსა და ფრენბურთში უკვე ჩამოვაყალიბეთ ვეტერანთა გუნდები, რომლებმაც რამდენიმე ამხანაგური შეხვედრაც გამართეს. ეს იყო პირველი ნაბიჯი ორი დასვენების დღის რაციონალურად გამოყენების საქმეში. გავაფართოვებთ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფების მუშაობას. ქალაქის ბაზები მათ შაბათობითა და კვირაობით უსასყიდლოდ დაეთმობათ.

ვადგენთ პროექტს, თუ როგორ და რა ღონისძიებებით დავტვირთოთ დასვენების დღეები. განზრახულია რეგულარულად მოვაწყოთ ფიზკულტურული კოლექტივების გუნდების ამხანაგური შეხვედრები სხვადასხვა სახეობაში, შიდასაკოლექტივო ტურნირები, მატჩები მეზობელ რაიონებთან.

ერთი სიტყვით, ბევრი კარგი რამ ჩავიფიქრეთ და თუ რამდენად სწორად წარვმართავთ მშრომელთა ორგანიზებულ დასვენებას, ამას ცხოვრება გვაჩვენებს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთგვარ წინააღმდეგობას უკვე წავაწყდით. თუ „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ რაისაბჭოები ყოველნაირად ცდილობენ არ ჩამორჩნენ საერთო ფერხულს, ამას ვერ ვიტყვით „სპარტაკის“ რაისაბჭოს მუშაობაზე. ამ ორგანიზაციას სათავეში უდგას სპორტკავშირის ყოფილი თავმჯდომარე გ. მალახოვი, რომელსაც ფაქტიურად სულაც არ აინტერესებს თავის მოვალეობათა შესრულება. ხუთდღიან სამუშაო კვირაში ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციისთვის ზრუნვა კი არა, გ. მალახოვი სადღეისო ამოცანების შესრულებისთვისაც არ ფიქრობს, არ ატარებს ღონისძიებებს. წელიწადი ისე გავიდა, რომ სპარტაკელებს რაიონულ პირველობებში მონაწილეობით თავი არ შეუწუხებიათ. ერთადერთი გახლდათ ფეხბურთელთა რაიონული ტურნირი, სადაც საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივი მონაწილეობდა, მაგრამ ჩემპიონატს ვადაზე ადრე გამოეთიშა.

„სპარტაკის“ რაისაბჭოს უმოქმედობას ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ საზოგადოებაში ბევრი დაინტერესებული, სპორტს მოწყურებული ახალგაზრდა და საშუალო და უფროსი ასაკის ისეთი ადამიანია, რომლებსაც აუცილებლად ჭირდებათ გამაჯანსაღებელ-ფიზკულტურულ წრეებში მეცადინეობა.

ნ. გვასალია,
გაგრის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ჩვენს ქვეყანაში მთლიანად განხორციელდა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა, რამაც მუშა-მოსამსახურეებს მეტი თავისუფალი დრო მისცა, ხოლო ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დააყენა ამოცანა: ახლებურად მოაწყონ მშრომელთა გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, უფრო ხშირად და მასობრივად გამართონ ტურისტული ლაშქრობანი, შეჯიბრებები თევზჭერაში, ნადირობა, ჩაატარონ ამხანაგური სამატჩო შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ვბეჭდავთ მასალებს, თუ როგორ იყენებენ აქტიური დასვენების ამ შესანიშნავ საშუალებას, როგორი ამოცანები დაისახეს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ კოლექტივებში.

მოწინავეებში საუკეთესო

მახარაძის რაიონში ბევრი მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივია და ეს საერთო მაჩვენებლებიდანაც ჩანს. აქაური სპორტკავშირი მუდამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით ასრულებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო გეგმებს, მაგრამ მოწინავეთა შორისაც არიან საუკეთესონი. ერთ-ერთი მათგანია აბრეშუმ ძაფსახვევი-საგრეხი ფაბრიკა, რომლის ფიზკულტურულ კოლექტივს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობს პირველთანრიგოსანი სპორტსმენი, ხარატი ჯ. ჭაველიშვილი.

მან, სახვევი საამქროს ფიზორგმა თავის ამხანაგებთან, მექანიკოს ნ. ჭეიშვილთან, ზეინკალ ა. სურგულაძესთან, პირველთანრიგოსან მსროლელ ნ. კეჭაყმაძესა და მოჭადრაკე კ. კალანდარიშვილთან ერთად მტკიცე კოლექტივი შექმნა, რომელმაც ფაბრიკაში საუკეთესოს სახელი დაიმკვიდრა. მათივე ზრუნვითა და მაგალითითაა, რომ მეაბრეშუმეებში პოპულარული გახდა ფიზკულტურა და სპორტი. თუ ადრე აქ სულ ათიოდე სპორტსმენი ჰყავდათ, ახლა თითქმის ყოველი მეორე თანამშრომელი ვარჯიშობს რომელიმე სექციაში. შეჯიბრებების, სამატჩო შეხვედრების რეგულარული გამართვით შეძლეს 1 სპორტის ოსტატის, 2 ოსტატობის კანდიდატის, ამდენივე პირველთანრიგოსნისა და 25 სხვა თანრიგის სპორტსმენის მომზადება.

მეაბრეშუმეთა სპორტით დაინტერესების საუკეთესო ნიმუშია ისიც, რომ ბ. მუხაშავრიამ, ა. სურგულაძემ და ნ. ჭეიშვილმა თავად დაამზადეს თასი, რომელიც შემდეგ საფაბრიკო სპარტაკიადის გარდამავალ ჯილდოდ დააწესეს.

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის მერე ფაბრიკაში უფრო იმატა სპორტღონისძიებათა რიცხვმა. ფიზკულტურულმა საბჭომ ახლებურად გარდაქმნა ღონისძიებათა კალენდარი და პირველი ორდღიანი დასვენება მასობრივი ტურისტული ლაშქრობით (მონაწილეობდა 100 თანამშრომელი) აღნიშნა. განზრახულია ყოველ შაბათ-კვირას ფაბრიკის ბაზებზე შიდასაკოლექტივო პირველობანი ჩატარდეს, მოეწყოს მატჩები მეზობელ ორგანიზაციებთან, რაც ხელს შეუწყობს ფიზკულტურული კოლექტივის შემდგომ განმტკიცებასა და მაჩვენებლების ზრდას.

ვ. ბუკია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სპორტული ლაგოდეხი

ძველი მეგობრები

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ლაგოდეხის რაიონის სპორტსმენებს აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან. მათ შორის ხშირად იმართება ამხანაგური შეხვედრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ამას წინათ ლაგოდეხს ეწვივნენ ბაქოს მექანიკური ქარხნის სპორტსმენები და ამხანაგური შეხვედრები გამართეს ფრენბურთსა და ჭადრაკში. ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობა სტუმრებმა მოიგეს — 3:0, ქალთა შორის კი უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო — 2:1. ასევე მასპინძლების გამარჯვებით აღინიშნა მოჭადრაკეთა შეხვედრა.

შეხვედრები ფრენბურთში...

ქალაქის ფრენბურთელ ვაჟებს სტუმრად ეწვივნენ გურჯაანელი სპორტსმენები. საინტერესო ორთაბრძოლაში გამარჯვება ანგარიშით 3:2 წილად ხვდათ მასპინძლებს, რომელთა შორის კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ გ. ლობჟანიძე, ბ. მარდაშვილი და ნ. ცხოვრებოვი.

ფეხბურთში...,

ერთ თვეს გრძელდებოდა ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის შიდასაკოლექტივო პირველობა ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ № 1 და № 4 საწარმოო ბრიგადების გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს პირველი ბრიგადის ფეხბურთელებმა — 3:2.

ველოსპორტში...,

ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ველოსპორტში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობაში მონაწილეობდა 11 გუნდი. 25-კილომეტრიან დისტანციაზე 1 ადგილი ვარდისუბნელმა ა. აბრამოვმა დაიკავა. II ადგილზე გავიდა აფენელი ზ. ტალახაძე, ხოლო III — მისი თანაგუნდელი ლ. დათუნაშვილი.

ფ. კვირიკაშვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 0:1. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).**

0:0. — ასე დამთავრდა პირველი ტაიმი. თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაშის მეორე ნახევარიც, მაგრამ 61-ე წუთზე ესებუამ შორიდან დაარტყა, ბურთი მოხვდა თბილისელთა ერთ-ერთ მცველს და გავიდა კარში. ამ გოლის წყალობით გაიმარჯვა „ფეიქარმა“.

● **„მესხეთი“ (ახალციხე) — „სამცხე“ (აწყური) 1:0. მსაჯი გ. ხაჩიძე (გორი).**

● **„კოლხეთი“ (ცხაკაია) — „განთიადი“ (ბორჯომი) 4:2. მსაჯი ი. მჭედლიშვილი (თბილისი).**

თამაში უმთავრესად მიმდინარეობდა სტუმართა ნახევარზე. „კოლხეთი“ ამ დღეს მოქმედებდა კოლექტიურად, კარგი ურთიერთგაგებით და მისი გამარჯვებაც სავსებით დამსახურებულია.

● **„მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 1:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

მახარაძელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და ზედიზედ რამდენიმე მწვავე შეტევა წარმართეს მის კართან. 23-ე წუთზე სალუქვაძემ ისარგებლა წალენჯიხელთა კართან შექმნილი არეულობით და გაიტანა გოლი. „მერცხალს“ შემდგომშიც ჰქონდა რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა.

● **„გარეჯი“ (საგარეჯო) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

კარგა ხნის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო რამდენადმე მაინც შესამჩნევი უპირატესობის მოპოვება. შესვენების შემდეგ საგარეჯოელებმა შეძლეს საერთო ინიციატივის ხელში აღება, მაგრამ სპარტაკელები ბოლომდე კარგად იცავდნენ თავს.

● **„მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

მატჩი თავიდანვე დაძაბული, ორმხრივი შეტევებით აღინიშნა, თუმცა პირველი 45 წუთის მანძილზე ანგარიში არ გახსნილა. მხოლოდ 58-ე წუთზე მიაღწია გამარჯვებას „მეშახტემ“ ანჯაფარიძის მიერ გატანილი ბურთის შედეგად.

● **„აერო“ (გალი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

მიმდინარეობდა მატჩის მე-8 წუთი, როცა სტუმრების ერთ-ერთი შეტევა გოლით დაამთავრა ტაბუცაძემ — 1:0. ამ გოლის გაქვითვას გალელები დიდხანს მოუნდნენ და ზუხბაიამ მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე აღადგინა წონასწორობა ანგარიშში.

● **ასკ (თბილისი) — „ისანი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).**

მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდს არასახარბიელო ადგილი უკავია გათამაშების ცხრილში, მათი მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები — 1:1.

● **„ქართლი“ (გორის რაიონი) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 1:8. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

პირველი 20 წუთის განმავლობაში არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ გორელები ასეთ სასტიკ დამარცხებას განიცდიდნენ. მაგრამ გუნდის დაცვამ და განსაკუთრებით მეკარემ ზედიზედ დაუშვეს შეცდომები და „ნარინჯმა“ სარეკორდო ანგარიშით მოიპოვა გამარჯვება.

* * *

27 აგვისტოს ტურის მატჩებმა ასეთი შედეგები გამოიღო: „სამცხე“ (აწყური) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 1:1, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ისანი“ (თბილისი) 0:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „აერო“ (გალი) 4:0, „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:0, „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 2:2. ახალციხის „მესხეთს“ გამარჯვება ჩაეთვალა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში.

I ჯგუფი. II ქვეჯგუფი

I ზონა: „ელმავალმშენი“ (თბილისი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 5:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 3:0, „ნადიკვარი“ (თელავი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 5:3, „სამგორი“ (გარდაბანი) — „არაგვი“ (მცხეთა) — 2:1, „აბული“ (ახალქალაქი) — „თრიალეთი“ (წალკა) 4:0, „მშენებელი“ (სიღნაღი) — „კოლმეურნე“ (მარნეული) 7:2, „განთიადი“ (კასპი) — „ელმავალმშენი“ (თბილისი) 3:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „მშენებელი“ (სიღნაღი) 1:3, „თრიალეთი“ (წალკა) — „სამგორი“ (გარდაბანი) 0:0, „კოლმეურნე“ (მარნეული) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „ნადიკვარი“ (თელავი) 1:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 2:2. კასპის „განთიადს“ გამარჯვება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან“ შეხვედრაში.

II ზონა. „ცეცხლაური“ (ქობულეთის რაიონი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:2, „სულორი“ (ვანი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:2, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ზემო ქართლი“ (ხაშური) 4:1, „ლაითური“ (მახარაძე) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 4:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:0, „კოლხიდმშენი“ (ფოთი) — „განთიადი“ (ადიგენი) 2:2, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ოჩამჩირე) 0:0, „ელექტრიკი“ (ქუთაისი) — „განთიადი“ (აბაშა) 2:0, „დინამო“ (ოჩამჩირე) — „კოლხიდმშენი“ (ფოთი) 2:1, „განახლება“ (ადიგენი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 5:2, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:2, „ზემო ქართლი“ (ხაშური) — „სულორი“ (ვანი) 2:3, „კოლხეთი“ (ხობი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:3, „ელექტრიკი“ (ქუთაისი) — „ცეცხლაური“ (ქობულეთის რაიონი) 1:3, „განთიადი“ (აბაშა) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 2:2.

ზონებში გამარჯვებულთა ნახევარფინალები: ბორჯომი — ბოგდანოვკა 2:0, სამტრედია — ზუგდიდი 3:1, წალენჯიხა — ჩხოროწყუ 0:2, საგარეჯო — თელავი 1:4, ამბროლაური — ცაგერი 2:0, ონი — მახარაძე 1:1, თეთრი წყარო — მცხეთა 6:0, ბოლნისი — ქარელი 0:2, ქისტაური — გარდაბანი — 1:1, ჩხოროწყუ — სამტრედია 1:0, ზუგდიდი — ლანჩხუთი 4:3. თიანეთს გამარჯვება ჩაეთვალა საგარეჯოსთან შეხვედრაში.

◆ ◆

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 4 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხალი“ (მახარაძე)	30	16	11	3	41—16	43
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	29	17	7	5	53—22	41
„დურუჯი“ (ყვარელი)	28	16	7	5	49—27	39
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	29	17	5	7	37—18	39
„მესხეთი“ (ახალციხე)	30	15	8	7	43—30	38
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	30	14	9	7	58—46	37
„სინათლე“ (თბილისი)	27	14	8	5	35—14	36
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	30	13	8	9	38—30	34
„ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი)	31	11	12	8	43—39	34
„განთიადი“ (ბორჯომი)	29	14	5	10	36—47	33
„გარეჯი“ (საგარეჯო)	30	11	10	9	42—41	32
ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი)	30	11	8	11	45—35	30
„სამცხე“ (აწყური)	31	10	10	11	22—31	30
„ქართლი“ (გორის რაიონი)	30	10	8	12	25—38	28
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	30	9	8	13	31—40	26
ასკ (თბილისი)	27	10	5	12	27—36	25
„აერო“ (გალი)	31	9	7	15	30—44	25
„სპარტაკი“ (ცხინვალი)	30	6	10	14	31—39	22
„ისანი“ (თბილისი)	30	5	12	13	24—40	22
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	28	5	9	14	27—40	19
„მეშახტე“ (ტყვარჩელი)	30	5	7	18	24—54	17

I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

მდგომარეობა 7 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მშენებელი“ (სიღნაღი)	21	17	4	0	50—9	38
„ნადიკვარი“ (თელავი)	21	12	4	5	49—25	28
„არაგვი“ (მცხეთა)	21	11	5	5	32—24	27
„აბული“ (ახალქალაქი)	21	10	5	6	22—25	25
„სამგორი“ (გარდაბანი)	21	10	4	7	46—31	24
„განთიადი“ (კასპი)	21	8	8	5	18—20	24
„ელმავალმშენი“ (თბილისი)	20	9	5	6	30—19	23
„კოლმეურნე“ (მარნეული)	20	8	7	5	28—30	23
„თრიალეთი“ (წალკა)	21	6	7	8	20—25	19
„მეტალურგი“ (რუსთავი)	21	6	4	11	17—27	16
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	21	5	4	12	31—37	14
„შირაქი“ (წითელწყარო)	21	5	4	12	19—36	14
„ჰერეთი“ (ლაგოდეხი)	21	4	4	13	18—41	12
„არაგვი“ (დუშეთი)	21	2	1	18	15—42	5

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი“ (ვანი)	23	15	6	2	38—16	36
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	23	11	7	5	38—26	29
„დინამო“ (ოჩამჩირე)	22	11	6	5	35—19	28
„სამგურალი“ (წყალტუბო)	23	11	5	7	44—28	27
„ცეცხლაური“ (ქობულეთის რაიონი)	22	8	10	4	36—28	26
„კოლხიდმშენი“ (ფოთი)	22	10	6	6	29—27	26
„ლაითური“ (მახარაძე)	22	9	7	6	26—21	25
„ჩიხურა“ (საჩხერე)	22	9	6	7	26—29	24
„იმერეთი“ (თერჯოლა)	23	5	13	5	26—26	23
„განახლება“ (ადიგენი)	23	7	8	8	39—42	22
„კოლხეთი“ (ხობი)	23	5	10	8	40—33	20
„ზემო ქართლი“ (ხაშური)	22	7	6	9	35—38	20
„განთიადი“ (აბაშა)	23	6	6	11	26—38	18
„ტორპედო“ (ქუთაისი)	23	5	6	12	26—36	16
„საირმე“ (მაიაკოვსკი)	23	4	4	15	25—43	12
„მშენებელი“ (ჭიათურა)	23	3	4	16	15—51	10

ჭადრაკი

ტურნირი, მატჩი, გამოფენა...

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღეებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმი საინტერესო ღონისძიებებით ხვდება.

მიმზიდველი იქნება ოსტატთა საიუბილეო ტურნირი, რომლის 16 მონაწილის შორის იქნებიან სტუმრებიც, ესტონელი მოჭადრაკეები — დიდოსტატი პ. კერესი და საერთაშორისო ოსტატი ი. ნეი. ტურნირის ჩატარება ნავარაუდევია ოქტომბრის მეორე ნახევარში სოხუმში ან თბილისში. რა თქმა უნდა, ტურნირში იასპარეზებენ ჩვენი უძლიერესი მოჭადრაკეები.

დაძაბულ პაექრობას გვპირდება ორი თაობის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი. უფროსი თაობის გუნდს უთავკაცებს უხუცესი საბჭოთა ოსტატი, 67 წლის თბილისელი პენსიონერი ნ. სოროკინი, ხოლო ახალგაზრდობისას მათი ლიდერები ბ. გურგენიძე და რ. ჯინჯიხაშვილი.

დიდი მოსამზადებელი მუშაობაა გაწეული „ჩვენი მიღწევების“ ფოტოგამოფენის მოსაწყობად. 20-ზე მეტ სტენდზე თავმოყრილი იქნება ძველი ფოტოები, ტურნირებისა და მატჩების ცხრილები, ჩვენი მოჭადრაკეების სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ამსახველი მასალები. ერთი სიტყვით, გამოფენა თვალნათლივ გააცნობს დამთვალიერებელს საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაციის გზას.

არა ნაკლებ მიმზიდველი იქნება ქართული საჭადრაკო წიგნის გამოფენა. წიგნების გარდა გამოიფინება ჩვენში გამოცემული სხვადასხვა დიდი ტურნირისადმი მიძღვნილი სპეციალური ბიულეტენები, რესპუბლიკური გაზეთების საჭადრაკო განყოფილებების ამონაჭრები და სხვ.

ფედერაციის პრეზიდიუმს გათვალისწინებული აქვს, აგრეთვე, ცნობილი მოჭადრაკეების შეხვედრები გულშემატკივრებთან, ლექციები, ერთდროული თამაშის სეანსები, კომპოზიციის მოყვარულთა საღამო.

თ. ნინოშვილი.

ასეთი წესებიც არის

„[illegible]“ პასუხი...

თიანეთის რაიონის სოფ. ახალსოფლის მკვიდრს თ. პაპაშვილს აინტერესებს, დაკანონებულია თუ არა ჭადრაკში ამა თუ იმ პოზიციისთვის სვლების განსაზღვრა.

ჭადრაკში დაკანონებულია სვლების განსაღვრის **მხოლოდ ორი** შემთხვევა.

პირველი. როცა დაფაზე იქმნება მოსაგები ტექნიკური ენდშპილი (მაგალითად, მეფე, კუ, მხედარი მეფის წინააღმდეგ), ძლიერი მხარე ვალდებულია დაამათოს მეტოქის მეფე 50 სვლაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ყაიმია (შამათი 51-ე სვლაზე რომ ცხადდებოდეს, პარტია მაინც ყაიმად ჩაითვლება).

მეორე. თუ თამაშის პროცესში 50 სვლის მანძილზე არც ერთი პაიკი ადგილიდან არ დაძრულა და არ მოუკლავთ, ორივე მეტოქეს უფლება აქვს ითხოვოს ყაიმი.

არსებობს, აგრეთვე, პოზიციის სამჯერ გამეორების წესი. რომელიმე პოზიციის სამჯერ გამეორებისას (სულ ერთია ზედიზედ, თუ არა) ორივე მეტოქეს შეუძლია ყაიმი მოთხოვოს მსაჯთა კოლეგიას.

თ. გიორგაძე.

ჭადრაკი

„კვირა — სპორტული დღეა“ — ასე გადაწყვიტეს დედაქალაქის პროფტექნიკური სკოლების სპორტსმენებმა. ამ სიტყვების სიმართლეში დავრწმუნდი, როცა ვ. კიკვიძის სახელობის პარკში მოვხვდი. რამდენიმე საათის მანძილზე აქ მოსულნი მოწმენი იყვნენ „შრომითი რეზერვების“ აღსაზრდელთა სპორტული ზეიმისა. ეს გასაკვირი არცაა: ამ საზოგადოების ჭაბუკებმა და გოგონებმა მეშვიდე წელია ზედიზედ მოიპოვეს „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. გაჩაღდა ასპარეზობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში თავი ისახელა 51-ე პროფტექნიკური სასწავლებლის აღსაზრდელმა რ. გოგავამ. იგი სპორტის ოსტატობის კანდიდატია და რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდის წევრი. შემდეგ გამოვიდნენ გოგონები. აქ ყველას აჯობა 23-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მ. ტყემალაძემ. მანანასთვის ეს კარგი წვრთნა იყო: რამდენიმე დღის შემდეგ იგი ტალინში მიემგზავრება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. შემდეგ გაიმართა შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, ფრენბურთში. გვიანობამდე გაგრძელდა სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმი.

• • •

სურათზე: რ. გოგავა ასპარეზობისას.

ტექსტი და ფოტო ვ. ბუკინისა.

სხვა ქვეყნები

● **ნეაპოლი**, 6 სექტემბერი. „ფინის“ კლასის აფროსანთა ევროპულ ჩემპიონატში, რომელიც აქ გაიხსნა, მონაწილეობს 24 ქვეყნის 43 სპორტსმენი. პირველი რბოლა მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. კუვეიდემ (გფრ). საბჭოთა სპორტსმენი ვ. კოზლოვი მე-5 ადგილზე იყო.

● **ინცელი**, 6 სექტემბერი. ცნობილი მოციგურავე გ. ტრაუბი (გფრ) კვლავ გახდა მსოფლიო ჩემპიონი გორგოლაჭებიან ციგურებით რბოლაში. მან 10 კილომეტრი ყველაზე სწრაფად დაფარა—18.28,46. საინტერესოა, რომ ყინულის ბილიკზე ტრაუბი ამავე მანძილს 2 წუთით უფრო სწრაფად ფარავს. 7 ოქროს მედლიდან, 5 მოიპოვეს იტალიელებმა. ჩემპიონატში დამყარდა ერთი მსოფლიო რეკორდი. მისი ავტორი იყო სპორტსმენი ქალი ლ. მასაჩი, რომელმაც 3 კილომეტრი [illegible] 5.27,72.

● **პარიზი**, 6 სექტემბერი. ცნობილი ინგლისელი ველომრბოლელი ჯ. უებ., რომელიც ამას წინათ მსოფლიო ჩემპიონი გახდა მოყვარულთა მორის, აპირებს პროფესიონალებში გადასვლას. 25 სექტემბერს აქ გაიმართება საერთაშორისო რბოლა „გრანდ პრი“, რომელიც უებისათვის ბოლო შეჯიბრება იქნება მოყვარულებში.

● **პრაღა**, 6 სექტემბერი. აქ სტუმრად იმყოფებიან მოსკოვის „ლოკომოტივის“ ჰოკეისტები, რომლებმაც სამი მატჩი გამართეს: ხომუტოვში დაამარცხეს ადგილობრივი გუნდი ანგარიშით 5:0; ლიტვინოვშიც იზეიმეს გამარჯვება — 6:3. მესამე მატჩი ჩესკე-ბუდეიოვიცეში ადგილობრივ კლუბ „მოტორთან“ კი წააგეს — 4:5.

გ. ბაკლანოვი: სასახელოდ შევხვდეთ

ვიცი, თითქმის 60 წელს დააჩიჯებდა დედამიწაზე ეს ადამიანი. უფრო ზუსტი რომ ვიყოთ — 57-ს. მშურს: იგი ბიჭუნა იყო, როცა მოსკოვში პირველად აფრიალდა ოქტომბრის აჯანყების წითელი ალამი. იგი ბევრი სხვა დაუვიწყარი მოვლენის მოწმეც გახდა. ამჟამად დაიზარდნენ ბავშვები, მომრავლდნენ შვილიშვილები.

იგი სრულიად ჭაღარაა: ბევრი გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. ბრძოლისაგან მიღებული ჭრილობა დღესაც აწუხებს, აიძულებს რეგულარულად იმკურნალოს.

ამის მიუხედავად, როცა უყურებ გლებ ბაკლანოვს, უსმენ მას, აღტაცებაში მოდიხარ: როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად რა ახალგაზრდაა ეს ადამიანი!

მე გამიმართლა, შევხვდი მას სწორედ დასვენების დროს. ასეთი დღეები ძალზე ცოტა აქვს ცხოვრებაში. სსრ კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი გლებ ბაკლანოვი ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავარი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

უყვარს თუ არა მას სპორტი? ასეთი შეკითხვა ერთგვარად უცნაურიც კია მისცე საბჭოთა სპორტული მოძრაობის ერთ-ერთ ვეტერანს. ვერ წარმომიდგენია სრულყოფილი ცხოვრება სპორტის, რეგულარული ფიზიკური ვარჯიშების გარეშე. — ამბობს ბაკლანოვი. — ალბათ ხშირად მოგისმენიათ იმის შესახებ, რომელიმე სახელგანთქმული ჩემპიონი ახალგაზრდობაში ფიზიკურად თუ როგორი სუსტი, ანდა გულით დაავადებული იყო, მაგრამ სპორტის წყალობით თითქოს ხელახლა დაიბადა, რეკორდების დამყარება დაიწყო.

ხანდახან ასეთი ნაამბობი შელამაზებული გეჩვენებათ, ირონიულ ღიმილსაც კი მოგგვრით. ნუ გეღიმებათ, სწორედ ასეთი სუსტი ბავშვები გამოავლენენ ხოლმე განუზომელ სურვილს, გახდნენ ნამდვილი ჰერკულესები. ბავშვობაში „სუსტი“ მოზარდი გახლდით, ხშირად ავად ვხდებოდი, თანატოლები მაბრაზებდნენ, ამიტომ მსურდა ათლეტი გავმხდარიყავი. ამაში დამეხმარა ჩვეულებრივი საშუალო სკოლა. ჩვენთან შესანიშნავად იყო დაყენებული ტანვარჯიშში მეცადინეობა. შევიყვარე იგი მთელი გულით.

გლებ ბაკლანოვი იგონებს თუ რა საინტერესოდ მიმდინარეობდა სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილები, თუ როგორ გაიტაცა ტანვარჯიშმა, როგორ გაკაჟდა, გამაგრდა, კუნთები რელიეფური გაუხდა... — ჩემი თაობის ადამიანები, — ამბობს იგი, — ფიზიკურ კულტურას ეზიარნენ ბედნიერ დროს — საბჭოთა მასობრივი სპორტის განვითარების გარიჟრაჟზე.

ქოჩრიანი ჭაბუკები, ლაღი გოგონები, როგორც კი დაამთავრებდნენ ქარხანაში მუშაობას, ან სტუდენტთა აუდიტორიებში 6-8 საათის ყოფნის შემდეგ, მაშინვე სტადიონებისკენ მიიჩქაროდნენ. იმ დროს მოსკოვში ყალიბდებოდა პროფკავშირული საქარხნო სპორტული კლუბები „პიშჩევიკი“, „გოზნაკი“, „ბურევესტნიკი“, „სტროიტელი“ და სხვ.

სპორტული საზოგადოების წევრი რომ გამხდარიყავი, ეს დიდი პატივი იყო. ვინც ამას მიაღწევდა თვითონ ასწორებდა მოედნებს, მიჰქონდა და აღმართავდა საფეხბურთო კარის ძელებს. ასუფთავებდა სპორტულ დარბაზებს, მცირე რემონტს უკეთებდა აღჭურვილობას, მორიგეობდა და წესრიგს იცავდა შეჯიბრებების დროს. მაშინ სად გვყავდა შტატიანი დამლაგებლები ან მუშები? წესრიგს მილიციის დაუხმარებლად ვიცავდით.

რა გავლენა მოახდინა სპორტმა თქვენს ცხოვრებაზე?

— როცა ჯარში გაწვევის ვადა დადგა, მე უკვე პირველი თანრიგის ტანმოვარჯიშე ვიყავი, მართლა, სპორტის ოსტატის წოდება მაშინ ჯერ არ იყო შემოღებული. გასაწვევ კომისიაზე სამედიცინო შემოწმების დროს ასე თქვეს: „ბაკლანოვი მივავლინოთ საჰაერო სამხედრო სასწავლებელში!“ მაგრამ მფრინავი მე არ გავხდი, ჩამრიცხეს მოსკოვის პირველ სახელგანთქმულ პროლეტარულ დივიზიაში, სამხედრო სამსახურის პირველი დღეებიდანვე ვიგრძენი, რომ ადვილად გადავლახავდი არმიული ცხოვრების სიძნელეს, ვიდრე ისინი, ვინც სპორტში არ მეცადინეობდნენ. ძალიან შემიყვარდა სამხედრო პროფესია და ამან განსაზღვრა კიდეც ჩემი შემდგომი ცხოვრების გზა, სპორტი კი ჩემი ერთგული, მუდმივი თანამგზავრი გახდა ცხოვრებაში.

გაიხსენოს სპორტთან დაკავშირებული, ფრონტული წლების გმირული ეპიზოდები, გენერალი ბაკლანოვი სასტიკ უარზეა.

— ჩემზე რა უნდა ვთქვა, — პასუხობს იგი თხოვნაზე. — საბრძოლო ეპიზოდები უამრავი იყო. საბჭოთა ადამიანების გმირობის შესახებ ბევრი დაწერილა. მართლაც, ომში ფიზიკური წრთობა საჭირო იყო ყველასთვის, დაწყებული რიგითი ჯარისკაციდან, დამთავრებული მხედართმთავრამდე. წრთობის გარეშე განა ეყოფოდათ ძალა მხედართმთავრებს 4-5 დღეობის განმავლობაში ძილისა და დასვენების გარეშე ხელმძღვანელობა გაეწიათ საპასუხისმგებლო საბრძოლო ოპერაციებისთვის.

ომისშემდეგომ წლებში გლებ ბაკლანოვი მუშაობს საბჭოთა არმიის მეომრების ფიზიკური აღზრდის პრობლემების გადაწყვეტაზე და იგი ჩვენი ქვეყნის სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მოღვაწე ხდება. მან ბევრი გააკეთა ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა სპორტსმენების მომზადების საქმეში, ხელი შეუწყო ჩვენი ჰოკეის ფეხზე დაყენების საქმეს. ახალგაზრდობაში ბაკლანოვი არც თუ ცუდი ჰოკეისტი იყო, ხოლო ტანმოვარჯიშეთა უფროს თაობას ახსოვს თუ რა ბევრს მიაღწია მან სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის, როცა სათავეში ედგა სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციას.

— დღეს რომ მკითხონ: როგორია ფიზიკური აღზრდის სფეროში საერთო განვითარების სკოლის მთავარი ამოცანა, ვალდებულია თუ არა მან პირველ რიგში მოამზადოს თანრიგოსნები, მომავალი სპორტის ოსტატები, ვუპასუხებდი: „არა“. მთავარია, დაეხმაროს ყოველ მოსწავლეს დაეუფლოს ფიზიკური კულტურის ძირითად ელემენტებს, გემო გაუგოს მრავალფეროვან სპორტულ ვარჯიშებს, დილის ვარჯიშს, წყლის პროცედურებს, მოძრაობას მთელი ცხოვრების მანძილზე! ყოველი მოზარდი სკოლის წლებში უნდა დაეუფლოს კარგად სირბილს, ხტომას, ცურვას, დადიოდეს თხილამურებით, შეიყვაროს ტურიზმი და რომელიმე სპორტული თამაში.

ხოლო ფიზიკური კულტურის საფუძველი, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა იყოს სკოლაში შესწავლილი სპორტული ტანვარჯიშის კურსი. ტანვარჯიში ეს სპორტის ყოველი სახეობის ანბანია. მიმზიდველ შესახედაობას, პლასტიკურობას და მოძრაობის ჩინებულ კოორდინაციას, მთელი მუსკულატურის პროპორციულად განვითარებას, ყველაფერ ამას ხელს უწყობს ტანვარჯიშში მეცადინეობა.

— შარშან აგვისტოში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება — სსრ კავშირში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე, — ამთავრებს თავის საუბარს გენერალ-პოლკოვნიკი ბაკლანოვი, — გვისახავს საბჭოთა სპორტული მოძრაობის ისტორიის ახალ ეტაპს, ამიერიდან სპორტი უნდა გახდეს არა მარტო მასობრივი, არამედ ისეთი, ყველა რომ მიწვდეს მას. ფიზიკურმა კულტურამ მტკიცედ უნდა მოიკიდოს ფეხი ყოველი საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში.

სპორტის ერთ-ერთი ვეტერანი ვუსურვებ საბჭოთა სპორტსმენების ახალგაზრდა თაობას სასახელოდ შეხვდეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, მზად იყოს ახალი მწვერვალების დასაპყრობად, უახლოესი მიჯნები დიდი ხანია აღნიშნულია მსოფლიო რუკაზე. ეს 1968 წლის ოლიმპიური დედაქალაქები გრენობლი და მეხიკოა.

მ. ზასლავსკი.

საჭადრაკო მერიდიანზე

სოფია. ბულგარეთის ქალთა XVII ჩემპიონატში 11 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მეექვსედ მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა ივანოვამ (დიდოსტატ ბობოცოვის მეუღლე), რომელსაც არც ერთი პარტია არ წაუგია და 8,5 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა ტროიანსკამ — 7, III-IV ადგილები გაიყვეს დიმოვამ და კარამანოვამ — 6,5-6,5.

ლაიპციგი. აქ გაიმართა რუმინეთისა და გდრ-ის მოჭადრაკეთა ორწრიანი ამხანაგური მატჩი. ეს იყო ამ გუნდების მეორე შეხვედრა. პირველი, რომელიც 1965 წელს შედგა, მოიგეს რუმინელებმა — 11,5:4,5. ამჯერადაც სტუმრებმა წარმატებით იასპარეზეს. მათ გაიმარჯვეს იგივე ანგარიშით — 11,5:4,5. აი, ზოგიერთი შედეგიც: ნიკოლაუ—კელერ-გერმანი—1,5:0,5, პოლიქრონიადე — ნოვარა — 1:1, პერევოზნიკი — იაშკე — 2:0.

მალაგა (ესპანეთი). აქ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში 8 ქვეყნის 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. გაიმარჯვა ბელგიელმა დიდოსტატმა ო'კელიმ — 8,5. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა დიდოსტატი პომარი (ესპანეთი). მომდევნო სამი ადგილი გაიყვეს ვიზერმა (ესპანეთი), ლემანმა (გფრ) და ტატაიმ (იტალია) — 6,5-6,5.

სტამბოლი. თურქეთის დედაქალაქის ჩემპიონატში, რომელიც ქვეყნის პირველობის ნახევარფინალიც იყო, დამაჯერებლად გაიმარჯვა სტუდენტმა ბოისანმა. მხოლოდ მან შეძლო ტურნირის დაუმარცხებლად გავლა. ბოისანმა მოაგროვა 12,5 ქულა (15-დან). II-III ადგილები გაიყვეს ბიუიუკოზკაიმ და უზმანმა — 11,5-11,5.

პრაღა. ქვეყნის ქალთა ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს 16 მოჭადრაკე ეცილებოდა. ყველას აჯობა მალიპეტროვამ, რომელმაც 12 პარტია მოიგო და 3 ყაიმით დაამთავრა. ჩემპიონს 2 ქულით ჩამორჩნენ ერეტოვა და ხალუპოვა. 10,5-10,5 ქულა მოაგროვეს ვესელამ, ვოკრალოვამ და კრივანკოვამ.

მიწერ-მოწერით თამაშში ჩეხოსლოვაკიის XI ჩემპიონატში გაიმარჯვა ველნერმა — 12 ქულა 16-დან.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ეკრანზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფი. **დღეს: „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი).** დასაწყისი 17 ს. 30 წ.

წყალბურთი. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი (ვაკე). **დღეს: „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა.** დასაწყისი 16 ს.

გამოიწერეთ!
ლელო
1968 წ

ხელმოწერა შეუზღუდავია და მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში.
ხელმოწერის ფასია: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. 80 კაპ.

ИНДЕКС 60448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 7 უე 04166